

სისხლპარლებზი ჭითელი თრომბების ფარმაქნის პროცესის მათემატიკური მოდელირება

თამაზ ობგაძე, ბესო ბაბალაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია წითელი თრომბების წარმოქმნის პროცესი. წითელი თრომბები, თრომბოციტებისა და ფიბრინის გარდა, შეიცავს ერითროციტების დიდ რაოდენობას. მათი წარმოქმნა ხდება სწრაფად, სისხლის ვენებში ნელი დანებისას. ეს უმეტესწილად გამოწვეულია უმოძრაობით (მჯდომარე სამუშაო), სტრუქტებითა და სისხლში ფიბრინის მომატებული რაოდენობით, რაც იწვევს სისხლის მომატებულ შედეგებადობას. ნაშრომში აგებულია წითელი თრომბების წარმოქმნისა და ეპოლუციის მათემატიკური მოდელი, რაც საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ მათზე მედიკამენტოზური ზემოქმედების შედეგები და შევადგინოთ მკურნალობის ოპტიმალური გეგმა.

საკანონი სიტყვები: თრომბი, თრომბოციტები, ფიბრინი, მათემატიკური მოდელი.

1. შესავალი

თრომბები შემადგენლობისა და შესახედაობის მიხედვით, არსებობს სამი სახის: თეთრი, წითელი, შერეული(ფენოვანი) და გაღიანური[1-3].

- თეთრი თრომბები შედგება თრომბოციტების, ფიბრინისა და ლეიკოციტებისაგან. წარმოქმნება არტერიებში სისხლის სწრაფი მოძრაობისას. წარმოქმნა მიმდინარეობს ნელი ტემპით.
- წითელი თრომბები თრომბოციტებისა და ფიბრინის გარდა შეიცავს ერითროციტების დიდ რაოდენობას. მათი წარმოქმნა ხდება სწრაფად, სისხლის ვენებში ნელი დინებისას.
- შერეული ტიპის თრომბებს (ყველაზე უფრო ხშირია), აქვს ფენოვანი შემადგენლობა და ჭრელი ფერები. შეიცავს როგორც თეთრი ფერის, ასევე, წითელი ფერის ელემენტებს. ფენოვანი თრომბები უფრო ხშირად, წარმოქმნება ვენებში, აორტის ანგრიზშის გულის არქში.
- გადანერური თრომბები – იშვიათად შეიცავს ფიბრინს, შედგება დაზიანებული ერითროციტების, თრომბოციტებისა და პლაზმის ცილებისაგან. ამავე დროს, თრომბული მასა მოგვაგონებს გაილინს. ასეთი თრომბები გვედება მიკროცირკულაციის კალაპოტებში.

სისხლძარღვის განვიკვეთისა და თრომბის ზომებიდან გამომდინარე, განასხვავებენ კედლისპირა თრომბებს – როცა მათი ზომა ნაკლებია განვიკვეთის ფართობთან შედარებით და გადამკეტ თრომბებს – როცა ისინი კეტავენ სისხლძარღვის მთელ განვიკვეთს და აფერხებენ სისხლის მოძრაობას.

• კედლისპირა თრომბები ხშირად გვხვდება გულში კლაპნურ ენდოკარდზე მისი ანთებისას (თრომბონდოკარდიტი), ტრაქეულებს შორის (ქრინიკული იშვიათი დაავადებისას), მსხვილ არტერიებში ათეროსკლეროზისას, ვენებში მათი ანთებისას (თრომბოფლებიტი), გულის სისხლძარღვებსა და ანგრიზში (დილატაციური ტრომბი).

• გადამკეტი თრომბები წარმოქმნებიან უფრო ხშირად, ვენებში და მცირე არტერიებში კედლისპირა თრომბების ზრდის შედეგად, იშვიათად – მსხვილ არტერიებში და აორტაში.

წარმოქმნის ადგილის მიხედვით განასხვავებენ: ვენების თრომბებს, არტერიის თრომბებს და მიკროცირკულაციური სისხლძარღვების თრომბებს. ყველაზე მეტად განვითარებულია ვენების თრომბოზი.

2. თრომბების წარმოქმნის მიზეზები

თრომბების წარმოქმნის ძირითადი მიზეზები და რისკების კლინიკურებია: სისხლძარღვის კედლის დაზიანება; სისხლის შესქელება; სისხლის ნაკადის მოძრაობის შენელება [1]. ჩამოთვლილი სამი ფაქტორი ვირწოვის ტრადის სახელწოდებით არის ცნობილი. სათანადო მკურნალობის გარეშე ღრმა ვენების თრომბოზი პროგრესირებს, ინტენსიურად წარმოქმნილი თრომბები უფრო და უფრო მეტად აზიანებს ვენების კედლებს. ღრმა ვენების თრომბოზის განვითარების ალბათობა დიდია ონკოლოგიური დაავადების დროს, თამაქოს მწეველებში, ორალური ჰორმონული კონტრაცეპტივების გამოყენებისას. ღრმა ვენების თრომბოზი შესაძლოა განვითარდეს პოსტოპერაციულ პერიოდშიც, საკეისრო კვეთის ან სხვა რომელიმე გინეკოლოგიური ოპერაციის შემდეგ. თრომბოზის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის აგრეთვე სანგრძლივი წოლითი რეაქცია ამ დროს მცირდება ვენური ნაკადის სიჩქარე, კუნთები სათანადოდ ვერ იკუმშება და გულისაკენ სისხლის გადაადგილება რამდენადმე ფერხდება. ღრმა ვენების თრომბოზი შესაძლოა განვითარდეთ ახალგაზრდა ჯამბროულ ადამიანებსაც, რომლებიც დიდხანს დგანან ფეხზე ან სხედან სკამზე.

მიოკარდიუმის ინფარქტი: ამ დროს გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვები სისხლს აღარ ატარებს, რასაც მიოკარდიუმის განსაზღვრული უბნის მხოლოდ იშემია კი არა, ნეკროზიც (კვდომა) მოჰყვება. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ტკივილი გაცილებით ძლიერი და ხანგრძლივია – ნახევარ საათამდე შეტევის დროს ადამიანი შესაძლოა შეაწუხოს თავისრუხვევამ, სულწუთვამ, გულისრევის შეგრძნებამ და ღებინებამაც კი შესაძლოა, გონიც კი დაკარგოს უეცარი კორონარული სიკვდილი. ასიდან 90-95

შემთხვევაში უცარი სიკვდილი სწორედ გულის მკვებავი (კორონარული) სისხლძარღვების ბრალია. ასე, რომ პრობლემის აქტუალობა ცხადზე ცხადია.

3. წითელი თრომბების წარმოქმნისა და ეფოლუციის პროცესის კონცეპტუალური მოდელირება

განვიხილოთ წითელი თრომბების წარმოქმნის პროცესი. სისხლი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის უჯრედებისა და განსაკუთრებული თხევადი ნაწილაკების (ჰილომიქრონების) სუსტენზიას პლაზმაში. თვით პლაზმა კი – წყლის ხსნარია, რომელიც შეიცავს დაბალი კონცენტრაციით სხვადასხვა მცირემოლექულურ ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს [1-3]. ამასთან, პლაზმის მასის 7% ცილებია. წითელი თრომბები თრომბოციტებისა და ფაბრინის გარდა შეიცავენ ერითროციტების დიდ რაოდენობას. მათი წარმოქმნა ხდება სწრაფად, სისხლის ვენებში ნელი დინებისას. ცირკულირებადი სისხლი შეიცავს სხვადასხვა ტიპის უჯრედებს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსა ერითროციტები, რადგან სისხლის მექანიკურ თვისებებზე ყველაზე მეტია მათი გავლენა. ერითროციტები სისხლის მთელი მოცულობის 45% შეადგენს იხ. ცხრილი 1.

სისხლის უჯრედები

ცხრ.1

| № | უჯრედების ტიპები | უჯრედების რაოდენობა 1 მმ^3 მოცულობაში | ფორმა და ზომები, მკბ | მოცულობითი კონცენტრაცია % |
|----|--|---|--|---------------------------------|
| 1. | ერითროციტები | $(4 - 6) \times 10^6$ | ორმხრივამოზნექილი დისკი, $8 \times (1 - 3)$ | 45% |
| 2. | ლეიკოციტები საერთო შემადგენლობა 2.1. გრანულოციტები: 2.1.1.ნეიტროფილები 2.1.2.ეოზინოფილები 2.1.3.ბაზოფილები 2.2.ლიმფოციტები 2.3.მონოციტები | $(4 - 10) \times 10^3$ $(1,5 - 7,5) \times 10^3$ $(0 - 4) \times 10^2$ $(0 - 2) \times 10^2$ $(1 - 4,5) \times 10^3$ $(0 - 8) \times 10^2$ | მიახლოებით სფერული, 7-22 | 1% |
| 3. | თრომბოციტები | $(250 - 500) \times 10^3$ | სფერული, 2-4 | |


ერითროციტების შიგნითაა მოთავსებული სისხლის თითქმის მთლიანი გემოგლობინი. ის შეიცავს რკინის ატომს, რაც განაპირობებს ერითროციტების წითელ შეფერილობას. ერითროციტები წარმოიქმნებან ძვლის ტვინში. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაა 120 დღე-დამე. ამიტომ განუწყვეტლივ ხდება მათი განახლება. ყოველ დღე-დამეში მათი 8% კვდება და ახალით იცვლება. ერითროციტები, დაბერებისას იმსხვერებან და შთანთქმებიან ლეიკოციტებისა და სხვა გამწმენდი უჯრედების მიერ. ამ მოვლენას ფაგოციტოზე უწოდებენ. ერითროციტების სიმკვრივეა $1,08 \times 10^3 \text{ კგ/მ}^3$. ეროთროციტის შიგნით სითხეა, რომლის მოცულობის 32% გემოგლობინს უჭირავს. ამ სითხის სიბლანტე 6 მნ $\times \sqrt{\text{მ}}^2$, ხუთჯერ აღემატება სისხლის პლაზმის სიბლანტეს. დაზიანებული ერითროციტები (მათ დასაზიანებლად საკმარისია 200 ნ/გ² ძვრის ძაბვა) ხშირად ეკვრიან ერთმანეთს და წარმოქმნიან აგრეგატებს, რომელთაც ხელს უწყობენ ფაბრინოვენისა და გლობულინების მაკრომოლექულების სიახლოვე. ასე ხდება, წითელი თრომბების წარმოქმნა საწყის ეტაპზე. ერითროციტების დაზიანება (ჰემოლიზი) ხშირად ხდება სტენოზირებული აორტალური სარქველის მახლობლად წარმოქმნილი ტურბულენტური ნაკადის ზემოქმედებით. ლეიკოციტების გავლენა სისხლის დინამიკაზე უმნიშვნელოა. მათზე მოდის მთელი სისხლის მოცულობის 1%. ლეიკოციტების მთავარი ამოცანაა ბრძოლა ინფექციებთან და მავნე უჯრედებთან. ისინი ანადგურებენ მავნე მიკროორგანიზმებს და წარმოქმნიან შესაბამის ანტისხეულებს. ასევე, შთანთქავენ დაზიანებულ და უსარგებლო, ერითროციტების სარჩენებს.

თრომბოციტები წარმოიქმნებან ძვლის ტვინში მეგაკარიოციტების მიერ. მათ სფერული ფორმა აქვთ 2-4 მკბ დამეტრით. ადენოზინდიფორსფატის მაკრომოლექულასთან ურთიერთქმედებისას თრომბოციტები წარმოქმნიან აგრეგატებს. ითვლება, რომ ადენოზინდიფორსფატი წარმოიქმნება ერითროციტების რღვევისას, აგრეთვე, თვით თრომბოციტიც გამოყოფს მას, როცა მისი ამოცანაა დაზიანებული სისხლძარღვის აღდგენა. თრომბინის, კოლაგენისა და ადენოზინდიფორსფატის ან ადრენალინის ზემოქმედებისას, თრომბოციტი მაღლე კარგავს სფერულ ფორმას. წარმოქმნის წანაზარდებს (ფსევდოპოდიებს). ეს პროცესი წინ უძღვის მათ აგრეგაციას. თრომბოციტების აგრეგაცია ერთ-ერთი მთავარი პროცესია სისხლდენის შეჩერებისას. ასევე, ხდება სისხლძარღვის შევიწროება და სისხლის შედედება.

შედედებისას, წარმოიქმნება შემკვრივებული მასა, რომელიც შედგება ფიბრინის ბადისაგან და ამ ბადეში მოხვედრილი ერითროციტების, ლეიკოციტებისა და თრომბოციტებისაგან. მათი კონცენტრაციები ეპვიგალენტურია შესაბამისი კონცენტრაციებისა, სისხლძარღვებში მოძრავი სისხლისათვის.

4. წითელი თრომბების წარმოქმნის მათემატიკური მოდელი

განვიხილოთ წითელი თრომბების წარმოქმნის კინეტიკური მათემატიკური მოდელი. თრომბების წარმოქმნის პროცესი წარმოვადგინოთ სქემის სახით (ნახ.1). შევადგინოთ შესაბამისი გრაფი (ნახ.2.).



ნახ.1. წითელი თრომბის წარმოქმნის სქემა

რეაქტორული საქმების ტექნიკის საფუძველზე [4-6], ადვილად შევადგენთ შესაბამის კინეტიკურ, მათემატიკურ მოდელს:

$$\frac{dS_1}{dt} = k_{21} \cdot S_2 - (k_{12} + k_{13}) \cdot S_1 + f_1(S_1, S_2, S_3, t), \quad (1)$$

$$\frac{dS_2}{dt} = k_{12} \cdot S_1 - (k_{21} + k_{23}) \cdot S_2 + f_2(S_1, S_2, S_3, t), \quad (2)$$

$$\frac{dS_3}{dt} = k_{13} \cdot S_1 + k_{23} \cdot S_2 + f_3(S_1, S_2, S_3, t). \quad (3)$$

სადაც f_i - მედიკომენტური მართვის გექტორ-ფუნქციის კომპონენტებია, რომლის მიზანია სისტემა გადაიყვანოს (0.5; 0.5; 1) მდგომარეობიდან (0.1; 0.1; 0) მდგომარეობაში. ანუ, დაშალოს წითელი თრომბის წარმონაქმნი; ხოლო k_{ij} -კინეტიკური კოეფიციენტებია.

ლიტერატურა:

1. Pedley T.J., Sc. Dr. The Fluid Mechanics of Large Biodd Vessels, Cambridge University Press, 1980
2. „„, „„, „„, 2004
3. „„, „„, „„, „„, „„, „„, 2002
4. ობგაძე თ. მათემატიკური მოდელირების კურსი (უწყვეტი მათ.მოდელები), ტ.1, სტუ. თბილისი, 2006
5. ობგაძე თ. მათემატიკური მოდელირების კურსი, ტ.3, სტუ. თბილისი, 2008
6. ობგაძე თ. მათემატიკური მოდელირების კურსი (რხევითი პროცესები), ტ.4, სტუ. თბილისი, 2010.

MATHEMATICAL MODELING OF RED BLOOD CLOTS IN BLOOD VESSELS

Obgadze Tamaz, Babashvili Beso
Georgian Technical University

Summary

In the represented paper there is considered the process of red blood clots' emergence. Red blood clots in addition to platelets and fibrin, contain large amounts of Red blood cells. Their formation occurs rapidly, with slow blood flow in blood vessels. In most cases this is due to immobility (sitting job), stress and elevated levels in the blood Fibrin that strengthens blood coagulation. We are constructing a mathematical model of the red blood clots evolution, which can be used to study the impact of the medicamental therapy on this process and make the optimal treatment plan.

Резюме

P
,

,

,

,

,

,

,

,

,